ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
ᲮᲐᲠᲐᲒᲐᲣᲚᲘ

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
ბრძანება N 50 192

17/07/2017

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის და განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებისათვის დავალების მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე- 20 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის და განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიებმა თავიანთ სხდომებზე განიხილონ 2017 წლის 17 ივლისის ბიუროს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

**2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა # 19ა - ში მდებარე შენობის მეორე სართულზე 9.24 კვმ. ფართის (ს/კ 36.01.062.01/500) ს.ს.ი.პ აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

**3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული დაბა ხარაგაულში სოლომონ მეფის ქუჩა # 50 - ში მდებარე 490 .0 კვმ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სკვერი) ს/კ 36.01.31.271) არასამეწარმეო ( არაკომერციული) იურიდიული პირის „ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის“ სარგებლობის უფლებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ** და საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინონ დასკვნა.

**2.**ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

3.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე